მეორე მარცხი ზედიზედ

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 28 აგვისტო.

“დინამო” (კიევი) _ “დინამო” (თბილისი) 3:0 (1:0).

კიევი: რუდაკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, ლევჩენკო, კრულიკოვსკი, ტურიანჩიკი, მუნტიანი (პარკუიანი), პუზაჩი, მედვიდი, სერებრიანიკოვი, ხმელნიცკი.

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, შერგელაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, დათუნაშვილი, მეტრეველი, ნოდია, მესხი (გიორგაძე).

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

დუბლიორები _ 2:1 კიეველთა სასარგებლოდ.

მართალია, საერთო ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლებს ეპყრათ და კარის ასაღები მომენტებიც უმეტესად მათ ჰქონდათ (განსაკუთრებით პირველ ტაიმში), მაგრამ მატჩი არაფრით ჰგავდა ისეთს, როცა ერთ-ერთი მხარე დიდი ანგარიშით განიცდის მარცხს. თბილისელებს კი ასე მოუვიდათ. მეორე ტაიმის დასასრულისთვის, საფინალო სასტვენამდე დაახლოებით ათიოდე წუთით ადრე ისინი სულ ახლოს იყვნენ მიზანთან: შორიდან დარტყმული ბურთი ცარიელი კარისკენ მიგორავდა და მხოლოდ ძელმა იხსნა კიევის “დინამო”. დარჩენილ მცირე დროში თბილისელთა დაცვაში დაშვებული 2 შეცდომა კიეველებმა ზუსტად გამოიყენეს, რამაც მათს გამარჯვებას ასეთი თვალსაჩინო ფორმები მისცა.

ხანგრძლივმა, ძლიერმა წვიმამ საგრძნობლად გააძნელა თამაშის პირობები. მიუხედავად ამისა, მატჩის ტემპი საკმაოდ მაღალი იყო. პირველ წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს: 30-ე წუთზე მუნტიანმა შორიდან მოულოდნელად დაარტყა და კოტრიკაძემ ვერ მიუსწრო ბურთს. მანამდეც და მერეც ორივე გუნდს ჰქონდა ბურთის გატანის შესაძლებლობანი.

მეორე ტაიმში ბრძოლა უმთავრესად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა. თუმცა მოწინააღმდეგეები აქტიურად მოქმედებდნენ მოპირდაპირე კარის ახლოს. და უკვე მაშინ, როცა მატჩის ანგარიში, თითქოს, გარკვეულ იყო, ჯერ პუზაჩმა, ხოლო შემდეგ პარკუიანმა ანგარიში გაზარდეს.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 29 აგვისტო, 1967 წ.